ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №81
ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე - NAT190025990
დაფინანსების წყარო 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი **„22“ იანვარი, 2020 წელი**

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ №4, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: ა.ა. GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **მოვალეობის შემსრულებლის მედეა ჯანიაშვილის** სახით და **შპს ვირექს იმერსივ** (მისამართი:გლდანი II მ/რ. კორპ. 39, ბ.104. ტელეფონი: 593959582, საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: TBCBGE, ანგარიშის ნომერი: 22GE48TB7752236020100003, ს.კ. 400187070) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ გოგოჭურის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

360 გრადუსიანი ვირტუალური რეალობის ამსახველი აპლიკაციით საგამოფენო ექსპოზიციის უზრუნველყოფისა და მისი ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (CPV - 79950000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 91 000.00 (ოთხმოცდათერთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი6) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.5. მომსახურების გაწევის ვადაა:

მადრიდი - “FITUR”, 22-26 იანვარი;

პარიზი - “Top Resa”, 22-25 სექტემბერი;

ლონდონი - „WTM“, 2-4 ნოემბერი;

ლონდონი - „London Ski and Snowboard Show 2020“;

ჰელსინკი - „GoExpo Winter“.

ასევე, მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს შემსყიდველის უზრუნველყოფა ვირტუალური სათვალით ზემოთ აღნიშნული გამოფენების გარდა, დამატებით არაუმეტეს 5 ღონისძიებისა. ღონისძიებების თარიღი შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 25 დეკემბრისა.

3.6. მომსახურების გაწევის ადგილი:

მადრიდი - “FITUR”, 22-26 იანვარი;

პარიზი - “Top Resa”, 22-25 სექტემბერი;

ლონდონი - „WTM“, 2-4 ნოემბერი;

ლონდონი - „London Ski and Snowboard Show 2020“;

ჰელსინკი - „GoExpo Winter“.

ასევე, მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს შემსყიდველის უზრუნველყოფა ვირტუალური სათვალით ზემოთ აღნიშნული გამოფენების გარდა, დამატებით არაუმეტეს 5 ღონისძიებისთვის მისამართზე - თბილისი სანაპიროს ქ. 4, მე-6 სართული.

ასევე, ვიდეო ვირტუალური რეალობისთვის აღნიშნული ლოკაციებიდან, ე.წ. სფერული ან 360 გრადუსიანი ვიდეორგოლების სრულად მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მომსახურების გაწევა დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს უფროსი ანა კეკელია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში გამოასწოროს.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელმა ხელი უნდა შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს უფროსი ანა კეკელია ან მისი მოვალეობის შემსრულებელის სახით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დღგ-ს არგადამხდელობის ცნობის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.4 და 4.1 პუნქტების „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (თითოეული შემთხვევისთვის) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ასეთი დღისათვის შეუსრულებელი მომსახურების ან წუნდებით შესრულებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედს ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით, ქართულ ენაზე.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
საიდენტიფიკაციო კოდი: 204578206
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22
ა.ა. GE24NB0330100200165022
ტელეფონი: 2436999
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლი
მედეა ჯანიაშვილი

მიმწოდებელი
შპს ,,ვირექს იმერსივ"
მისამართი: გლდანი II მ/რ. კორპ. 39, ბ.104
საიდენტიფიკაციო კოდი: 400187070
საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE
ანგარიშის ნომერი: 22GE48TB7752236020100003
ტელეფონი: 995599213337
დირექტორი
ნიკოლოზ გოგოჭური

Medea Janiashvili
Digitally signed by Medea Janiashvili
Date: 2020.01.22 17:09:24 +04'00'

დანართი N1

1. მომსახურების ფასების ცხრილი:

N	მომსახურების დასახელება		ერთეულის ღირებულება	მთლიანი ღირებულება
1	ვირტუალური რეალობის სადემონსტრაციო ექსპოზიცია მონიტორით	მადრიდი - "FITUR", 22-26 იანვარი;	19 000	19 000
2		პარიზი - "Top Resa", 22-25 სექტემბერი;	14 000	14 000
3		ლონდონი - „WTM", 2-4 ნოემბერი;	16 000	16 000
4		ლონდონი - „London Ski and Snowboard Show 2020"	14 500	14 500
		ჰელსინკი - „GoExpo Winter".	15 000	15 000
5	ვირტუალური სათვალით ღონისძიებების მომსახურება	არაუმეტეს 5 ღონისძიება	2500	12 500
სულ ჯამი				91 000

2. ვირტუალური რეალობის საგამოფენო ექსპოზიციის უზრუნველყოფისა და მისი ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული მომსახურება:
ვირტუალური რეალობის სადემონსტრაციო ექსპოზიცია მონიტორით გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ღონისძიებებისთვის:
1. მადრიდი - "FITUR", 22-26 იანვარი;
2. პარიზი - "Top Resa", 22-25 სექტემბერი;
3. ლონდონი - „WTM", 2-4 ნოემბერი;
4. ლონდონი - „London Ski and Snowboard Show 2020";
5. ჰელსინკი - „GoExpo Winter".
მომსახურება შედგება:
1.სტაციონალური და პორტატული ვირტუალური რეალობის შინაარსის სადემონსტრაციო მოწყობილობებით საგამოფენო სტენდისა და სტენდის პერსონალის აღჭურვა;
2.სადემონსტრაციო მოწყობილობების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
3.სადემონსტრაციო მოწყობილობების შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი შინაარსითა და მისი სამართავი პროგრამით უზრუნველყოფა;
სტაციონალური და პორტატული ვირტუალური რეალობის შინაარსის სადემონსტრაციო მოწყობილობებით საგამოფენო სტენდისა და სტენდის პერსონალის აღჭურვა.
ტექნიკური განმარტება:
ვირტუალური რეალობის სადემონსტრაციო ექსპოზიციის სტაციონალური ნაწილი უნდა შედგებოდეს ყველაზე ნაკლები სიმძლავრეებისა და მახასიათებლების მოწყობილობებისაგან:
ვირტუალური რეალობის ჩაფხუტი არანაკლებ შემდეგი მონაცემებისა:
• Resolution: 2160x1200; • Refresh Rate: 80Hz; • Field of view: 110 degress; • Tracking area: 5x11; • Connection: HDMI, USB 2.0, 3xUSB 3.0;
კომპიუტერი:
პროცესორის ბირთვების რაოდენობა: არანაკლებ 4; ნაკადების რაოდენობა: არანაკლებ 4; სიხშირე: არანკალებ 3.0 Ghz; ქეშ მეხსიერება: 6 MB; ტექნოლოგიური პროცესი : 14nm; ოპერატიული მეხსიერება: არანაკლებ 8GB; ვიდეოდაფა: მეხსიერების მოცულობა: 4 GB; მეხსიერების ტიპი: GDDR5; მეხსიერების ინტერფეისის მოცულობა: 256 bit; იტერფეისი: არანაკლებ HDMI 2.0 და DisplayPort 1.4.
მონიტორი:
დიაგონალი - არანაკლებ 21 ინჩი; რეზოლუცია - არანაკლებ 1920X1080; სიხშირე - არანაკლებ 60სც; HDMI პორტის არსებობა.

*კანდიდატმა უნდა წამოადგინოს შესასყიდად შემოთავაზებული ტექნიკის კომპლექტის ვირტუალური რეალობის აპლიკაციასთან მუშაობის წარმატებული მაგალითები.

ვირტუალური რეალობის სადემონსტრაციო ექსპოზიციის პორტაბელური ნაწილს უნდა ქონდეს ყველაზე ნაკლები შემდეგი ტექნიკური მახასიათებლები:
ეკრანი 5.5-inch display with a 2560 x 1440 resolution (1280 x 1440 per eye);
პროცესორი - Qualcomm's Snapdragon 821;
მეხსიერება - 32GB.

ასევე აპლიკანტმა უნდა უზრუნველყოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხოლოდ ვირტუალური სათვალით უზრუნველყოფა ზემოთ აღნიშნული გამოფენების გარდა, დამატებით არაუმეტეს 5 ღონისძიებისა.

ვირტუალური რეალობის ჩაფხუტი არანაკლებ შემდეგი მონაცემებისა:
• Resolution: 2160x1200; • Refresh Rate: 80Hz; • Field of view: 110 degress; • Tracking area: 5x11; • Connection: HDMI, USB 2.0, 3xUSB 3.0.

სადემონსტრაციო მოწყობილობების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოიცავს:
-ტურისტულ გამოფენაზე შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლის უწყვეტ კავშირზე ყოფნას შემსრულებელი კომპანიის მიერ მოწოდებული ვირტუალური რეალობის საგამოფენო ექსპოზიციასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების ოპერატიულად გადასაჭრელად;
-იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური გაუმართაობა ვერ აღმოიფხვრება შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლის მიერ, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სხვა, უფრო კვალიფიციური და ეფექტიანი ტექნიკური მომსახურება დისტანციურად ან ადგილზე ტექნიკური გაუმართაობის დაფიქსირებიდან 3 საათის განმავლობაში;
-იმ ღონისძიებებზე, რომლებზეც ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას თან ექნება მხოლოდ ვირტუალური სათვალე, შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლის უწყვეტ კავშირზე ყოფნას ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში ხარვეზის დისტანციურად აღმოსაფხვრელად. კომპანიამ ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოახდინოს მისი დაფიქსირებიდან 3 საათის განმავლობაში;
-ტექნიკურ გაუმართაობად ჩაითვლება მხოლოდ ის, რაც არ არის გამოწვეული სხვა პირების ან ორგანიზაციების ბრალეულობით.

სადემონსტრაციო მოწყობილობების შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი შინაარსითა და მისი სამართავი პროგრამით უზრუნველყოფა მოიცავს:
-შემსრულებელ კომპანიას უნდა შეეძლოს ზემოთ აღწერილი სადემონსტრაციო მოწყობილობები უზრუნველყოს ვიდეო ვირტუალური რეალობის (ე.წ. სფერული ან 360 გრადუსიანი ვიდეორგოლები) ფორმატის შინაარსით რომელიც იქნება შემდეგი ტურისტული ლოკაციების შესახებ:
- ყაზბეგის ხედები გერგეთის სამება (ზამთარი, ზაფხული)
- გუდაური-ზამთარი, ბაკურიანი-ზამთარი/ზაფხული
- ნეკრესი, ყვარლის გვირაბები, გრემი, სიღნაღი, ვაშლოვანის ნაკრძალი
- მესტია-ზამთარი/ზაფხული, თეთნულდი, უშგული (შემოდგომა)
- ხევსურეთი - (შატილი, მუცო - ზაფხული)
- ქვევრები და რთველი კახეთში
- ბათუმი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი
- მარტვილის კანიონი, ოკაცეს კანიონი
- სვეტიცხოველი, ჯვარი
- მტირალას ტყე-პარკი, მაჭახელა, მახუნცეთის ჩანჩქერი, Black Sea Arena
- ძველი თბილისი, თბილისის ბოტანიკური ბაღი, თბილისის ძირითადი ხედები
- ლაგოდეხის ნაკრძალი, ბირთვისი, კინტრიშის და კოლხეთის ეროვნული პარკები
- ვარძია, უფლისციხე

ვიდეო ვირტუალური რეალობისთვის აღნიშნული ლოკაციებიდან, ე.წ. სფერული ან 360 გრადუსიანი ვიდეორგოლების სრულად მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.
შექმნილი ვირტუალური რეალობის ფორმატის ზემოთ აღწერილი მასალის ჩვენებისთვის შექმნილი მოწყობილობა შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სპეციალური სამართავი პროგრამით, რომელიც მოახდენს ვირტუალური რეალობის ვიდეო მასალის დამთვალიერებლებისთვის ინტერაქტიულ ფორმატში დემონსტრირებას რაც გამოიხატება შემდეგი ფუნქციების არსებობაში:
- დამთვალიერებლის სურვილის მიხედვით მიმნიშნებელზე მზერის დაყოვნებით შეცვალოს თვალსაწიერი;
- გამოიძახოს დამატებითი გრაფიკული ინფორმაცია;
გათიშოს ან ჩართოს ხმა.